



**სასამართლო სისტემის მდგომარეობა
(2012-2016)**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“

2016

1. შესავალი	3
2. ძირითადი მიგნებები	3
3. მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა.....	5
3.1. მართლმსაჯულების რეფორმის „პირველი ტალღა“	6
3.2. მართლმსაჯულების რეფორმის „მეორე ტალღა“	8
3.3. მართლმსაჯულების რეფორმის „მესამე ტალღის“ პროექტი	9
4. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა.....	11
4.1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტება.....	11
4.2. აზრთა პლურალიზმი და მესამე პირების ჩართულობა საბჭოს საქმიანობაში	12
4.3. გამჭვირვალობა და ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები	13
4.4. მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნა და კონკურსის გარეშე გადაყვანა.....	15
4.5. დისციპლინური პასუხისმგებლობა	17
5. სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა	18
5.1. სასამართლოს დამოუკიდებლობის „შიდა ასპექტი“	18
5.2. საქმეთა განხილვისას გამოვლენილი ტენდენციები	20
5.2.1. გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეები.....	21
5.2.2. „რუსთავი 2“-ის საქმე.....	23
5.3. კორუფციის რისკები სასამართლო სისტემაში	25
5.4. სამართალდამცავი ორგანოების მიერ სასამართლოს საქმიანობაში ჩარევის შესაძლო შემთხვევები	26
6. საკონსტიტუციო სასამართლო	27

სასამართლო სისტემის მდგომარეობის შეფასება (ოქტომბერი 2012-აგვისტო 2016)

1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში მიმოიხილავს უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში მართლმსაჯულების სისტემაში დაგეგმილ და განხორციელებულ მნიშვნელოვან ცვლილებებს, რაც მათი სისტემურად გაანალიზებისა და სასამართლო სისტემაში არსებული მდგომარეობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ მისი მმართველობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზნად სამართლიანობის აღდგენა, სასამართლო ხელისუფლების პოლიტიკური გავლენებისგან განთავისუფლება და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა გამოაცხადა. ამ მიზნით ეტაპობრივად დაიწყო მნიშვნელოვანი საკანონმდებლო რეფორმების განხორციელება. სასამართლო სისტემაში რეფორმების განხორციელების პროცესს „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ აქტიურად აკვირდებოდა. სამოქალაქო სექტორი მუდმივად ეხმარებოდა მართლმსაჯულების სფეროში მიმდინარე ცვლილებებს და ხელისუფლებას საკუთარ ხედვებსა და რეკომენდაციებს წარუდგენდა.

ანგარიში მოიცავს 2012 წლის ოქტომბრიდან 2016 წლის აგვისტოს ბოლომდე პერიოდს და შესაბამისად თითქმის მთლიანად ემთხვევა საპარლამენტო არჩევნებს შორის დროის მონაკვეთს. ანგარიში აერთიანებს იმ ძირითად მიგნებებს, რაც ამ ხნის მანძილზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოსა“ და სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა და შეფასებებმა გამოავლინა. მათ შორისაა: სასამართლო სისტემის რეფორმის მიზნით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებისა და არსებული ნორმატიული ბაზის შეფასება, სასამართლოებში საქმეთა განხილვის მონიტორინგის შედეგები, საკონსტიტუციო სასამართლოს ირგვლივ განვითარებული მოვლენებისა და მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეების ანალიზი.

2. ძირითადი მიგნებები

უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში მართლმსაჯულების სისტემა გარკვეული მიმართულებებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა:

- **განხორციელდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები.** მართლმსაჯულების რეფორმის „პირველი ტალღის“ განხორციელებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დეპოლიტიზირების მიმართულებით, გადანაწილდა კონკრეტული ინსტიტუტების ხელში თავმოყრილი გაუმართლებლად ფართო ძალაუფლება, გაიზარდა სისტემის გამჭვირვალობა და მოსამართლეთა თვითმმართველობის როლი.

- **მნიშვნელოვნად შემცირდა სახელმწიფოს სასარგებლოდ მიღებულ გადაწყვეტილებათა მაჩვენებელი.** მაგ. ადმინისტრაციულ საქმეების მონიტორინგმა აჩვენა რომ, 2012 წელს სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაწყდა დავათა – 79%, ხოლო 2015 წელს ეს მაჩვენებელი 53%-მდე შემცირდა.
- **გაიზარდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გამჭვირვალობის ხარისხი.** მაგალითად, სხდომების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების, გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობისა და სხდომების გაშუქების მიმართულებებით.

მიუხედავად რამდენიმე მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებისა საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა არაერთი სერიოზული პრობლემაც, რომელიც დღეს მართლმსაჯულების სისტემაში არსებობს:

- **ამოქმედდა მოსამართლეთა 3 წლიანი გამოსაცდელი ვადით დანიშვნის წესი,** რომელიც მნიშვნელოვან რისკებს შეიცავს სასამართლო დამოუკიდებლობისათვის. ასევე დაყოვნებით და შეფერხებით მიმდინარეობს მართლმსაჯულების რეფორმის „მესამე ტალღა“;
- **გამოიკვეთა მნიშვნელოვანი პრობლემები სასამართლოს შიდა დამოუკიდებლობის მიმართულებით.** სასამართლო სისტემაში ჩამოყალიბდა მოსამართლეთა ჯგუფი, რომელსაც აქვს ეფექტური ბერკეტები ზეგავლენა მოახდინოს სასამართლო სისტემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე და არ არის შემწყნარებელი გამოთქმული კრიტიკის მიმართ. მსგავსი ვითარება, სერიოზულ ექვებს აჩენს მოსამართლეთა კორპუსში კლანური მმართველობის შესახებ, რაც ძირს უთხრის ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობას.
- **გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებით,** განსაკუთრებით კი მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის პროცესში. ეს, ერთი მხრივ, განპირობებულია საბჭოს საქმიანობის მომწესრიგებელი საკანონმდებლო ბაზის ბუნდოვანებით, რაც საბჭოს აძლევს იმის ბერკეტებს, რომ გაუმჭვირვალე და დაუსაბუთებელი წესით მიიღოს გადაწყვეტილებები და მეორე მხრივ, იმით რომ საბჭომ ვერ უზრუნველყო კარგი პრაქტიკის დამკვიდრება.

- რამდენიმე გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით გაჩნდა ეჭვი სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. მათ შორის, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის, ე.წ. კაბელების საქმისა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საქმესთან დაკავშირებით.
- გამოვლინდა წინასწარი პატიმრობის ბოროტად გამოყენების შესაძლო შემთხვევა. თბილისის ყოფილი მერი, გიგი უგულავა წინასწარ პატიმრობაში წელიწადზე მეტი ისე იმყოფებოდა, მის წინააღმდეგ გამამტყუნებელი განაჩენი არ ყოფილა დამდგარი. გიგი უგულავას მიმართ განხორციელებული ქმედებათა ქრონოლოგია და აღკვეთი ღონისძიების გამოყენების თაობაზე საკანონმდებლო ხარვეზის ბოროტად გამოყენება პროცესის პოლიტიკური მოტივებით წარმართვაზე მიანიშნებდა.
- ვერ იქნა უზრუნველყოფილი საკონსტიტუციო სასამართლოს დისტანცირება პოლიტიკური პროცესებისგან. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პირველ თვეებში ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ პოზიტიური განცხადებებით გამოირჩეოდნენ, თუმცა ამგვარი რიტორიკა მალევე შეიცვალა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ხელისუფლების პოლიტიკური ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღების შემდგომ. ამას მოჰყვა ცვლილებები საკონსტიტუციო სასამართლოს მომწესრიგებელ კანონმდებლობაშიც, რომლითაც მნიშვნელოვნად დაზიანდა ქვეყანაში კონსტიტუციური კონტროლის ინტერესები.

3. მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა

2012 წლის ოქტომბრისათვის სასამართლო ხელისუფლება რამდენიმე მიმართულებით საჭიროებდა მნიშვნელოვან რეფორმირებას. იმ პერიოდისთვის არსებულ გამოწვევებს შორის იყო ინდივიდუალური მოსამართლის გაძლიერება და მისი როლის გაზრდა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიის დაკომპლექტების წესის შეცვლა, სისტემის გამჭვირვალობის გაზრდა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გაუმართლებლად ფართო უფლებამოსილებები, მოსამართლეთა მივლინება, მოსამართლეთა შერჩევა-დანაშინების, კარიერული წინსვლისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის წესების დახვეწა.¹

¹ მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, 2012, <http://bit.ly/2bvktL6>

3.1. მართლმსაჯულების რეფორმის „პირველი ტალღა“

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პირველი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო რეფორმა მართლმსაჯულების სისტემაში 2013 წლის 1 მაისს განხორციელდა (მართლმსაჯულების რეფორმის „პირველი ტალღა“). აღნიშნული რეფორმის ფარგლებში ცვლილებები შევიდა „საერთო სასამართლოების შესახებ“, „მოსამართლეთა დისციპლინური დევნისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ და „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ კანონებში. შედეგად:

- **შეიცვალა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესი.** კერძოდ, განისაზღვრა, რომ პარლამენტის მიერ არჩეული პირები საბჭოში უნდა იყვნენ არა დეპუტატები, არამედ კონკურსის საფუძველზე შერჩეული პოლიტიკურად ნეიტრალური პირები. ამასთან, პარლამენტისთვის კანდიდატების წარდგენის უფლება მიენიჭათ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს. აღნიშნული ცვლილების მიზანს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პოლიტიკური გავლენებისაგან გათავისუფლება წარმოადგენდა და ცალსახად დადებითად უნდა შეფასდეს. კანონპროექტით განისაზღვრა საბჭოს წევრად ერთი და იმავე პირის ზედიზედ ორჯერ არჩევის აკრძალვა.
- **გაიზარდა მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს-მოსამართლეთა კონფერენციის როლი.** კერძოდ, თუ აქამდე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების კანდიდატებს კონფერენციას ექსკლუზიურად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე წარუდგენდა, ცვლილებების თანახმად კონფერენციას თითოეულ წევრს მიენიჭა კანდიდატების დასახელების უფლება. გარდა ამისა, შეიზღუდა მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული ორგანოს-ადმინისტრაციული კომიტეტის უფლებამოსილება კონფერენციის სხდომებს შორის პერიოდში კონფერენციის სახელით მიეღო ისეთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები, როგორცაა მაგ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებისა და სადისციპლინო კოლეგიის წევრების არჩევა. მსგავს შემთხვევაში განისაზღვრა რიგგარეშე კონფერენციის მოწვევის ვალდებულება.
- **გაიზარდა სასამართლო სხდომების საჯაროობა.** რეფორმის ფარგლებში განისაზღვრა სასამართლოს მიერ სხდომების ოქმების (აუდიო/ვიდეო ჩაწერა) წარმოებისა და მოთხოვნის შემთხვევაში მხარეთათვის გადაცემის ვალდებულება. ასევე მოქალაქეებისთვის სასამართლო შენობაში შესვლისას პირადი ნივთების ჩამორთმევის აკრძალვა, რაც წინგადადგმულ ნაბიჯად შეფასდა სასამართლო სისტემის

გამჭვირვალობის მიმართულებით.² აღსანიშნავია, ისიც რომ 2013 წლის 6 მარტის ცვლილებებით ასევე განისაზღვრა სასამართლოს სხდომების ჩაწერისა და გაშუქების წესიც.

- **მოხდა სასამართლოს სადიციპლინო კოლეგიის დისტანცირება იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან.** კერძოდ, განისაზღვრა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს სადიციპლინო კოლეგიის წევრი და კოლეგიის არამოსამართლე წევრების არჩევის უფლებამოსილება საბჭოს ნაცვლად პარლამენტს მიენიჭა. განისაზღვრა ისიც, რომ კოლეგიის მოსამართლე წევრებს ირჩევს პირდაპირ მოსამართლეთა კონფერენცია და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ჩამოერთვა კანდიდატების წარდგენის ექსკლუზიური უფლებამოსილება. ცვლილებებით ასევე დადგინდა სადიციპლინო კოლეგიისა და სადიციპლინო პალატის გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ვალდებულება.
- **მოხდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის დისტანცირება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისგან.** რეფორმის შედეგად შეიზღუდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გაუმართლებლად ფართო უფლებამოსილებები იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან მიმართებაში. განისაზღვრა რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე აღარ იქნება და მას მოსამართლეთა კონფერენცია აირჩევს, ხოლო დამოუკიდებელი საბჭოს დანარჩენ წევრებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ნაცვლად იუსტიციის უმაღლესი საბჭო დაამტკიცეს.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო რეფორმის „პირველი ტალღის“ ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების დიდი ნაწილი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მანამდე გამოთქმულ კრიტიკასა და რეკომენდაციებს ეფუძნებოდა. რეფორმის შედეგად, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დეპოლიტიზირების მიმართულებით, გადანაწილდა კონკრეტული ინსტიტუტების ხელში თავმოყრილი გაუმართლებლად ფართო ძალაუფლება (იუსტიციის უმაღლესი საბჭო, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე), გაიზარდა სისტემის გამჭვირვალობა და მოსამართლეთა თვითმმართველობის როლი. ყოველივე აქედან გამომდინარე, აღნიშნული რეფორმა მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად შეფასდა³ და იმავდროულად ყურადღება გამახვილდა იმავე და სხვა მიმართულებებით რეფორმების გაგრძელების აუცილებლობაზე.

² *სამწლიანი მონიტორინგის შედეგების მიმოხილვა ადმინისტრაციულ საქმეებზე*, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 2014, გვ. 7-8, <http://bit.ly/2bx5sEi>

³ *ახალი სასამართლო რეფორმების შედარებითი ანალიზი*, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 2013, <http://bit.ly/2b8llvJ>

3.2. მართლმსაჯულების რეფორმის „მეორე ტალღა“

სასამართლო რეფორმის „მეორე ტალღა“ 2014 წლის 1 აგვისტოს განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს გულისხმობს. აღნიშნულ რეფორმას წინ უძღოდა 2013 წლის 1 ნოემბრის ცვლილებები, რომლის მიზანიც იყო „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს კონსტიტუციის იმ რედაქციასთან, რომელიც 2013 წლის 17 ნოემბრიდან ამოქმედდა. შედეგად:

- ძალაში შევიდა მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის ზოგადი წესი, რომლის მიხედვითაც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მოსამართლე თანამდებობაზე გამწესდება კანონით დადგენილი ასაკის (65 წელი) მიღწევამდე.
- მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნამდე კანონით განისაზღვრა მოთხოვნა ყველა მოსამართლის 3 წლიანი გამოსაცდელი ვადით დანიშვნის შესახებ. აღნიშნული ცვლილების თანახმად გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამართლეებს ყოველი წლის ბოლოს იუსტიციის უმაღლეს საბჭო შეაფასებს და მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს.
- დეტალურად განისაზღვრა გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების შეფასების წესი და შეიქმნა ახალი ორგანო-უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატა, რომელიც გასაჩივრების ორგანოს წარმოადგენს იმ მოსამართლეებისთვის, რომელთაც უარი ეთქვათ უვადოდ დანიშვნაზე.

მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნის წესის ამოქმედებამ ცალსახად უარყოფითი შეფასება დაიმსახურა როგორც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების⁴, ასევე ვენეციის კომისიის მხრიდან⁵. გამოსაცდელი ვადის ინსტიტუტი შეიცავს მნიშვნელოვან რისკებს სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის. მოსამართლის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტისას შეისწავლება და მხედველობაში მიიღება მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რაც შეიძლება უარყოფითად აისახოს მოსამართლის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე. მიუხედავად საერთაშორისო საკონსულტაციო ორგანოებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკისა დღეს საერთო სასამართლოების სისტემაში ასზე მეტი გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლე ახორციელებს უფლებამოსილებას. 2016 წლის ნოემბრიდან საბჭო დაიწებს 3 წლიანი

⁴ კოალიციის პოზიცია მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნასთან დაკავშირებით, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, 2013, <http://bit.ly/2btwUYy>

⁵ ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის (DGI) ადამიანის უფლებათა დირექტორატის (DHR) ერთობლივი დასკვნა N°773/2014 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში ცვლილებების კანონპროექტზე, სტრასბურგი, 2014, <http://bit.ly/2bKgOJQ>

გამოსაცდელი ვადით დანიშნული პირველი 12 მოსამართლის უვალოდ განმწესების საკითხის განხილვას.

მოსამართლეთა კორპუსის მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე და ღირსეული კადრებით დაკომპლექტების ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, აუცილებელია მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის წესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმების დახვეწა და არა ისეთი სახიფათო მექანიზმის შემოღება, როგორცაა გამოსაცდელი ვადის ინსტიტუტი, რომელიც ასუსტებს მოსამართლეთა დამოუკიდებლობას.

3.3. მართლმსაჯულების რეფორმის „მესამე ტალღის“ პროექტი

სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღის“ კანონპროექტმა პარლამენტში პირველი საკომიტეტო მოსმენები ჯერ კიდევ 2015 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში გაიარა, თუმცა მას კანონის სახე ჯერაც არ მიუღია⁶. კანონპროექტი პირველადი რედაქციის წარდგენის შემდეგ რამდენჯერმე არსებითად შეიცვალა, რამაც მნიშვნელოვნად შეასუსტა ზოგიერთი პოზიტიური ინიციატივა. მიუხედავად ამისა, კანონპროექტი შეიცავს არაერთ ცვლილებას, რომელთა დროულად მიღებაც კრიტიკულად აუცილებელია სასამართლო სისტემაში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მათ შორისაა:

- საქმეთა განაწილების ელექტრონული წესის ამოქმედება, რომელიც საქმეთა შემთხვევითობის პრინციპით განაწილებას გულისხმობს და სასამართლოთა თავმჯდომარეებს ართმევს ამ პროცესში ჩარევის ბერკეტებს;
- მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლით გამწესებაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უარის გასაჩივრების შესაძლებლობა;
- მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის მიმდინარეობისას ინტერესთა კონფლიქტის საკითხის დარეგულირება;
- მოსამართლეთა მივლინების წესის დახვეწა და ამ მიმართულებით მოსამართლეებისთვის დამატებითი გარანტიების შექმნა.

მიუხედავად რამდენიმე მნიშვნელოვანი და პროგრესული ცვლილებისა, სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღის“ კანონპროექტის საბოლოო ვერსია არ ასახავს იმ არსებითი ხასიათის რეკომენდაციების დიდ ნაწილს, რასაც როგორც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ისე ვენეციის კომისიამ წარმოადგინა. მათ შორის:

⁶ კოალიცია სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღის“ გაჭიანურებას ეხმაურება, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, 2016, <http://bit.ly/2b6nMsM>

- კანონპროექტის საბოლოო ვერსია აღარ ითვალისწინებს სასამართლოს თავმჯდომარეების მოსამართლეების მიერ არჩევის წესს და ამ უფლებას კვლავ მხოლოდ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უტოვებს;
- კანონპროექტი ითვალისწინებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ახალი ორგანიზაციული ერთეულის - მენეჯმენტის დეპარტამენტის შექმნას. გაურკვეველია ზუსტად რა იქნება ამ დეპარტამენტის ფუნქცია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით რომ მენეჯმენტის დეპარტამენტის ცალკეული ფუნქციები იკვეთება საბჭოს, მენეჯერისა და სასამართლოს თავმჯდომარის ფუნქციებთან. კანონპროექტით გათვალისწინებულ ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის შექმნაც. კანონპროექტი არ აწესრიგებს მისი შერჩევის პროცედურას და ასევე, ითვალისწინებს მისი თანამდებობიდან გათავისუფლების ბუნდოვან და სახიფათო დებულებებს.
- წარმოდგენილი კანონპროექტით მნიშვნელოვნად იცვლება პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების არჩევის წესი. მოქმედი ნორმის მიხედვით, პარლამენტის მიერ საბჭოს შემადგენლობაში ერთი წევრი მაინც არჩეულ უნდა იყოს 2/3-ის უმრავლესობით. კანონპროექტით შემოთავაზებული ცვლილებები ითვალისწინებს აღნიშნული წესის გაუქმებას და პროცედურის გამარტივებას, პარლამენტის მიერ საბჭოს ხუთივე წევრის პირველივე ტურში სრული შემადგენლობის უმრავლესობით არჩევის გზით. ეს ინიციატივა სრულად ეწინააღმდეგება კონსენსუსის მნიშვნელობას, რაც ასევე არსებითი გარანტიაა იმისთვის, რომ საბჭოში დანიშნული პირი კონკრეტული პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი არ იყოს.
- სამოქალაქო სექტორისა⁷ და ვენეციის კომისიის⁸ კრიტიკული მოსაზრებების მიუხედავად, უზენაესი სასამართლოს წევრთა მინიმალური რაოდენობის (არანაკლებ 16 მოსამართლე) განსაზღვრა კვლავ ორგანული კანონით მოხდება.

მართლმსაჯულების რეფორმის “მესამე ტალღის” კანონპროექტების საბოლოო რედაქცია სრულად ვერ პასუხობს სასამართლო სისტემაში არსებულ გამოწვევებს. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია, რომ ის მინიმალური პოზიტიური ცვლილებები რასაც კანონპროექტი ითვალისწინებს დაყოვნების გარეშე ამოქმედდეს. ამასთან, სამომავლო რეფორმის ფარგლებში უკიდურესად მნიშვნელოვანია ცვლილებებს დაექვემდებაროს: იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები, მოსამართლეთა

⁷ კოალიციის მოსაზრებები სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღასთან“ დაკავშირებით, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, 2016, <http://bit.ly/2bFv8kG>

⁸ ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის (DGI) ადამიანის უფლებათა დირექტორატის (DHR) ერთობლივი დასკვნა N° 773 / 2014 “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების კანონპროექტზე, სტარსბურგი, 2014 <http://bit.ly/2btDWgo>

დანიშვნის, კარიერული წინსვლისა და მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები.

4. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა

იუსტიციის უმაღლესი საბჭო სასამართლო ხელისუფლებაში ადმინისტრირების მთავარი კონსტიტუციური ორგანოა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნქციებია სასამართლოს (მოსამართლის) დამოუკიდებლობის, მართლმსაჯულების ხარისხისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა, მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება, მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზება, სასამართლო რეფორმის გასატარებლად წინადადებების შემუშავება და კანონით დადგენილი სხვა ამოცანების შესრულება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან“ ერთად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგს 2012 წლის მარტიდან ახორციელებს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაზე ოთხწლიანი დაკვირვების შედეგები საშუალებას იძლევა შეფასდეს და წარმოდგენილ იქნეს ამ პერიოდში საბჭოს საქმიანობაში არსებული გაუმჯობესებებისა თუ ხარვეზების დინამიკა. საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ 2012-2014 წლების სააგარიშო პერიოდებში საბჭოს საქმიანობაში გამოვლენილი ტენდენციები და ცალკეული მიმართულებებით გაუმჯობესებები 2015 წლიდან არ გაგრძელებულა.⁹

4.1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტება

მართლმსაჯულების რეფორმის „პირველი ტალღის“ ფარგლებში „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილმა ცვლილებებმა მნიშვნელოვნად შეცვალა საბჭოს დაკომპლექტების ადრე არსებული წესი, როგორც მოსამართლეთა კონფერენციის ისე საქართველოს პარლამენტის მიერ წევრთა არჩევის ნაწილში. აღნიშნულის გათვალისწინებით განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საბჭოს ახალი წევრების არჩევის პროცესს, რომელიც წარიმართა 2013 წლის მაისი-ივლისის პერიოდში.

საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ საზოგადოებაში მოსამართლეთა კონფერენციის ჩატარების მიმართ განსაკუთრებით დიდი დაინტერესება არსებობდა.

⁹ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში N4, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 2016, <http://bit.ly/2bx4dd4>

კონფერენცია ორი სამუშაო დღე მიმდინარეობდა და საერთო ჯამში დადებითად შეფასდა. პროცედურული დარღვევები არ ყოფილა და პროცესი გამჭვირვალედ წარიმართა. თუმცა, მონაწილეთა უმრავლესობამ ვიწროდ განმარტა კონფერენციის, როგორც უმაღლესი თვითმმართველი ორგანოს უფლებამოსილება და მოსამართლეებმა თავად შეიზღუდეს დღის წესრიგის დამტკიცებისა და საბჭოს წევრობის კანდიდატებისთვის კითხვის დასმის უფლებამოსილება.

რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის მიერ საბჭოს არამოსამართლე წევრების შერჩევითვის გამოცხადებულ კონკურსს, ის არ წარიმართა გამჭვირვალედ. დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა პარლამენტს მიმართეს თხოვნით, ჩატარებულიყო საჯარო გასაუბრება კანდიდატებთან და მათი ხედვების გაცნობა. მიუხედავად მოთხოვნისა, **კანდიდატებთან გასაუბრება დახურულ კარს მიღმა ჩატარდა და საზოგადოებას არ მიეცა საშუალება, პროცესისთვის თვალი ედევნებინა.**¹⁰

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში დღეს 14 წევრი ახორცილებს უფლებამოსილებას. აქედან 10 წევრს, მათ შორის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს, 2017 წლის ზაფხულში ეწურება უფლებამოსილების ვადა, შესაბამისად სწორედ ამ დროისთვის მოხდება საბჭოს ხელახალი დაკომპლექტება. აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობით ერთი და იგივე პირი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არ შეიძლება აირჩეს (დაინიშნოს) ზედიზედ ორჯერ.

4.2. აზრთა პლურალიზმი და მესამე პირების ჩართულობა საბჭოს საქმიანობაში

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა თითქმის სრულად განახლდა 2013 წლის ივნისში, რაც დადებითად აისახა საბჭოში მიმდინარე დისკუსიისა და მუშაობის ხარისხზე. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის საქმიანობის მონიტორინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ არამოსამართლე წევრების ინიციატივით დაიწყო საბჭოში დისკუსია რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე და მათი აქტიურობის შედეგად, საბჭოში რეალურად გაჩნდა განსხვავებული მოსაზრებები.¹¹ აღნიშნული თვალსაზრისით, 2015 წლიდან საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობით მიღწეული პლურალიზმის და წარმომადგენლობითობის მდგომარეობა თანდათან შეიცვალა და საბჭოს ცალკეული არამოსამართლე წევრების პოზიციები სულ უფრო ხშირად ეთანხმებოდა

¹⁰ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის სამწლიანი შემაჯამებელი ანგარიში (2012-2014), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 2015, <http://bit.ly/2b9ooZw>

¹¹ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში N3, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო 2015, <http://bit.ly/2cbgioj>

მოსამართლე წევრების პოზიციებს. ამ პერიოდიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა უმრავლესობის პოზიციების თანხვედრა, ასევე, *გადაწყვეტილების მიღების წინ საბჭოს წევრების კონსულტაციები დახურულ ფორმატში, წარმოშობდა ეჭვს, რომ საბჭოს წევრები გადაწყვეტილებებს იღებდნენ არა ინდივიდუალურად, რაც წარმოადგენს კოლეგიური ორგანოს წევრთა მიერ გადაწყვეტილებების მიღების პრინციპს, არამედ წინასწარი შეთანხმებით.*¹²

აღსანიშნავია, რომ 2015 წელს ახალი თავმჯდომარის პირობებში საბჭოს სხდომებზე დამსწრე დაინტერესებული პირების ჩართულობა საბჭოს მიერ საკითხების განხილვაში გაიზარდა. ხშირად საბჭოს თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით სთხოვდა დამსწრე არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებზე. ამის შემდგომ, საბჭოს სხვა წევრებიც, უმეტესად არამოსამართლე წევრები, უფრო მეტ კომუნიკაციას ამყარებდნენ დამსწრე საზოგადოებასთან. 2016 წელს ეს ვითარება უარყოფითად შეიცვალა. მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის პროცესზე და სხვა პრობლემურ საკითხებზე სამოქალაქო სექტორის მიერ დაფიქსირებული კრიტიკის ფონზე საბჭოს წევრების, მათ შორის საბჭოს თავმჯდომარის, დამოკიდებულება შეიცვალა. საბჭოს სხდომებზე, როგორც მოსამართლე, ისე არამოსამართლე წევრები ღიად გამოხატავდნენ უკმაყოფილებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმართ გამოთქმული კრიტიკისადმი და მას „ზღვარგადასულს“ უწოდებდნენ. საბჭოს ერთ-ერთი წევრი ღიად უჭერდა მხარს სასამართლო ავტორიტეტის დაცვის მიზნით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასაც.¹³

4.3. გამჭვირვალობა და ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები

უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში საბჭოს გამჭვირვალობის კუთხით რიგ საკითხებში მნიშვნელოვანი გაუმჯობესებები შეიმჩნეოდა. მაგალითად, სხდომების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების, გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის და სხდომების გაშუქების მიმართულებებით. თუმცა, გამოვლინდა მნიშვნელოვანი პრობლემებიც, როგორცაა საბჭოს სხდომის დახურვის პროცედურისა და ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი ნორმების არარსებობა, დღის წესრიგის შედგენის და ზოგადად სხდომის მომზადებასთან დაკავშირებული პრობლემები.

¹² *იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში N4*, 2016, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, <http://bit.ly/2bx4dd4>

¹³ *სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის მიზნით, გამოხატვის თავისუფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვა დაუშვებელია*, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 2015, <http://bit.ly/2c7oUcF>

გამჭვირვალობის მიმართულებით წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, როდესაც საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება *საბჭოს სხდომების პირდაპირ ტრანსლირება* საერთო სასამართლოების სისტემაში მოქმედი სპეციალური დახურული ქსელის (ინტრანეტის) მეშვეობით მომხდარიყო. სისტემაზე წვდომა მოსამართლეებს და საბჭოს არამოსამართლე წევრებს აქვთ.¹⁴ აღნიშნული ცალსახად პოზიტიურ ცვლილებად უნდა შეფასდეს.

უარყოფითად უნდა შეფასდეს, 2014 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის #308 გადაწყვეტილებაში შეტანილი ცვლილება, რომლის თანახმადაც, მოსამართლეობის კანდიდატებთან *გასაუბრება ტარდება საბჭოს დახურულ სხდომაზე*.¹⁵ აღსანიშნავია, რომ მიუხედავად საბჭოს მიერ დამკვიდრებული ზოგადი პრაქტიკისა გასაუბრებები ღია სხდომაზე წარიმართოს, 2016 წელს 4 კანდიდატთან გასაუბრება მათივე სურვილით დაიხურა. მსგავსი შემთხვევა ადასტურებს იმის აუცილებლობას, რომ მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრებების ღია სხდომაზე ჩატარება ნორმატიულ დონეზე უნდა მოწესრიგდეს. გასაუბრება უნდა მიმდინარეობდეს ღია რეჟიმში, სხდომის ოქმები კი ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ პირობებში, როდესაც საბჭოს შერჩევა/დანიშვნისას გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება არ გააჩნია, დაინტერესებული პირისთვის კი, გასაუბრების მიმდინარეობაზე დაკვირვება ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს საბჭოს გადაწყვეტილების შესაფასებლად.¹⁶

მწვავე პრობლემად გამოიკვეთა *ინტერესთა კონფლიქტის საკითხი*. მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის მიმდინარეობისას რამდენჯერმე დაფიქსირდა შემთხვევა¹⁷, როდესაც საბჭოს წევრი, რომელიც თავად იყო კონკურსის მონაწილე, მონაწილეობდა კანდიდატების კონკურსთან დაკავშირებულ პროცესში. აღნიშნული პრობლემის წინაშე საბჭო რამდენჯერმე დადგა. საკითხის მოუწესრიგებლობამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საბჭოს საქმიანობის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, როგორც თბილისის სააპელაციო სასამართლოში 7 მოსამართლის დაწინაურების, ისე მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში.¹⁸ პოზიტიურად უნდა შეფასდეს საბჭოს წევრების მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა თვითაცილებაზე იმ

¹⁴ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის სამწლიანი შემჯავებელი ანგარიში (2012-2014), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 2015 <http://bit.ly/2b9ooZw>

¹⁵ იქვე, <http://bit.ly/2b9ooZw>

¹⁶ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში N4, 2016, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, <http://bit.ly/2bx4dd4>

¹⁷ იქვე, <http://bit.ly/2bx4dd4>

¹⁸ იქვე, <http://bit.ly/2bx4dd4>

ვაკანსიებზე კენჭისყრისას, რომელზეც თავად ჰქონდათ განაცხადი შეტანილი. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ყველა კანდიდატების თანასწორ პირობებში ჩაყენებისათვის, აუცილებელია გამოირიცხოს საბჭოს წევრების მიერ კონკურსის პროცესში სხვაგვარი მონაწილეობაც, როგორცაა სხვა კანდიდატების დოკუმენტებზე წვდომა და მათთან გასაუბრებაში მონაწილეობა.¹⁹

4.4. მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნა და კონკურსის გარეშე გადაყვანა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაზე რამდენიმე წლიანმა დაკვირვებამ ცხადყო, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციის შესრულება-მოსამართლეთა დანიშვნა-ძირეული პრობლემებით ხასიათდება, რაც განპირობებულია როგორც საკანონმდებლო ხარვეზებით²⁰, ისე საბჭოს მიერ დადგენილი მანკიერი პრაქტიკით და მმართველი ხელისუფლების მიერ თავისი წილი ვალდებულებების უგულებელყოფით. მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის პროცესს ახასიათებს:

- *მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის გამჭვირვალობისა და საჯაროობის დაბალი ხარისხი;*
- *საბჭოს მიერ მოსამართლეთა დანიშვნასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობა.*

აღსანიშნავია, ისიც, რომ საბჭოს საჯარო სხდომებზე დასწრება არ იძლეოდა იმის შეფასების საშუალებას, თუ რა მოტივით აძლევდა საბჭოს ცალკეული წევრი ამა თუ იმ კანდიდატს ხმას ან რა მოტივით ცვლიდა საბჭოს ესა თუ ის წევრი კანდიდატთან დაკავშირებით საკუთარ პოზიციას კონკურსის პირველ და მეორე ტურს შორის. აღნიშნულ საკითხებზე საბჭოს წევრებს შორის კონსულტაციები სხდომის დარბაზს მიღმა მიმდინარეობდა, საბჭოს წევრები კონსულტაციისთვის ტოვებდნენ სხდომის ოთახს და გარეთ თათბირობდნენ. მოტივი რის გამოც საბჭოს წევრი მხარს უჭერს ან არ უჭერს კანდიდატს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გამჭვირვალობის თვალსაზრისით, არამედ კონკურსის პროცედურების და მიზნების მიღწევის

¹⁹ იქვე, <http://bit.ly/2bx4ddd>

²⁰ კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში იქნა გასაჩივრებული მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის მოქმედი ნორმები, <http://bit.ly/2b7BJYG>

შესაფასებლად, მოსამართლედ დანიშნულ იქნეს პროფესიონალი, კანონმდებლობით დადგენილი უნარ-ჩვევების და პიროვნული თვისებების მქონე პირი.²¹

მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის პროცესის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარებასთან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებული კითხვები კიდევ უფრო გაამძაფრა საბჭოდან მოსამართლეთა საგამოცდო ტესტების გამჟღავნების სავარაუდო შემთხვევამ. 2016 წლის 2 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან 2015 წლის 21 ნოემბერს ჩატარებული მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების ტესტების სავარაუდო გამჟღავნების შესახებ აცნობა. 2016 წლის 22 თებერვალს საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მამუკა ახვლედიანი თბილისის საქალაქო სასამართლოსა და ამავე სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლა. ტესტების გამჟღავნების სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით რაიმე სახის დასკვნა ან განმარტება კი საზოგადოებისათვის ამ დრომდე უცნობია.

2011-2015 წლების მონაცემებით, მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, საბჭო აქტიურად იყენებდა ერთი სასამართლოდან სხვა სასამართლოში მოსამართლეების გადაყვანის კანონით გათვალისწინებულ მექანიზმებს: კონკურსის გარეშე მოსამართლის გადაყვანა, დაწინაურება და მივლინება (2015 წლის 1 იანვრიდან მოსამართლეთა მივლინება კანონით შეუძლებელი გახდა²²). ამ მექანიზმების გამოყენებით, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეების ფაქტობრივად ნახევრის მიმართ გამოყენებული იყო კონკურსის გარეშე გადაყვანის მექანიზმი (საშუალოდ, 230 მოსამართლიდან 115 მოსამართლის შემთხვევაში). აღსანიშნავია, 2012-2013 წლებში დამკვიდრებული, მოსამართლეთა დანიშვნისა და შემდგომ, მათი სხვადასხვა სასამართლოში გამწესების მანკიერი პრაქტიკაც. კერძოდ, საბჭოს წევრების ხმათა 2/3-ით ხორციელდებოდა, ზოგადად, კანდიდატის მოსამართლედ დანიშვნა, ხოლო შემდგომ, საბჭოს წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით - ამ მოსამართლის გამწესება კონკრეტული სასამართლოს მოსამართლედ.²³

²¹ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის სამწლიანი შემაჯამებელი ანგარიში (2012-2014), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 2015 <http://bit.ly/2b9ooZw>

²² „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი.

²³ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში N4, 2016, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 2016, <http://bit.ly/2bx4dd4>

მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანის/დაწინაურების შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, პროცედურების მხოლოდ ფორმალურად ჩატარების შედეგად.²⁴ ზემოაღნიშნული გარემოებები აჩენს სერიოზულ ეჭვს იმასთან დაკავშირებით, რომ, შესაძლოა, წარმოშობილი ვაკანსიების გვერდის ავლით ხდებოდეს მოქმედ მოსამართლეთა მიზნობრივი, ე.წ. სტრატეგიული გადანაწილება სხვადასხვა სასამართლოში, მოსამართლის შეუცვლელი საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის უგულებელყოფით, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს მოსამართლის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე.

4.5. დისციპლინური პასუხისმგებლობა

2012 წლამდე მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი სრულად კონფიდენციალური იყო, რაც გამორიცხავდა საბჭოს მიერ ჩატარებული დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის მონიტორინგს. 2012 წლის მარტში კანონმდებლობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ამ მიმართულებით. აღნიშნული ცვლილებებით დადგინდა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებების საჯაროდ გამოქვეყნების ვალდებულება, პერსონალური მონაცემების დამტრიალებით, თუმცა, თავად დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი დარჩა დახურული. საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შემდგომ პერიოდში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ პრაქტიკაში არ შეასრულა კანონის მოთხოვნა და სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებები საკუთარ ვებგვერდზე არ გამოაქვეყნა, რამაც ამ პერიოდის დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის შინაარსობრივ შეფასებას შეუშალა ხელი. საბჭომ არც დისციპლინური სამართალწარმოების საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების გაცემის თაობაზე მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციების მოთხოვნა დააკმაყოფილა.²⁵ აღსანიშნავია სასამართლო რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის თანახმადაც, მოსამართლეს ენიჭება უფლება, მოითხოვოს სადისციპლინო კოლეგიისა და უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის სხდომების გასაჯაროება, ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სხდომების გასაჯაროება - თათბირისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების გარდა.²⁶ ზოგადად, მოსამართლეთა მიმართ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შესული დისციპლინური საჩივრების განხილვის კრიტიკულად დაბალი მაჩვენებელი მიუთითებს მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების სისტემის არაეფექტურობაზე. აქედან გამომდინარე, ჩნდება

²⁴ იქვე <http://bit.ly/2bx4dd4>

²⁵ *იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის სამწლიანი შემაჯამებელი ანგარიში (2012-2014)*, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 2015 <http://bit.ly/2b9ooZw>

²⁶ იქვე <http://bit.ly/2bx4dd4>

საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მოსამართლეების დამოუკიდებლობა არ არის სათანადოდ დაბალანსებული შესაბამისი ანგარიშვალდებულებით. მოსამართლეთა დისციპლინირების პროცესის გაუმჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების არაეფექტური სისტემის არსებობა, თავის მხრივ, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უტოვებს ფართო შესაძლებლობას, ბოროტად გამოიყენოს მოსამართლის დისციპლინირების მექანიზმი მათსავე წინააღმდეგ.²⁷

5. სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა

სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ხარისხის შეფასება ხდება იმის მიხედვით თუ რამდენად დამოუკიდებელია ინდივიდუალური მოსამართლე როგორც გარე, ისე სისტემის შიგნიდან მომდინარე ზეგავლენებისაგან და რამდენად გამართულად ფუნქციონირებენ სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტები. აღნიშნული თვალსაზრისით სასამართლოს სისტემის მდგომარეობის შეფასებისას იკვეთება, რომ, დღესდღეობით, სასამართლოს დამოუკიდებლობა კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას.

5.1. სასამართლოს დამოუკიდებლობის „შიდა ასპექტი“

სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის შესახებ ანგარიშში (ნაწილი I) ვენეციის კომისიამ აღნიშნა, რომ „სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა გულისხმობს მის დამოუკიდებლობას არამართო ხელისუფლების სხვა ორგანოებიდან, არამედ მას აქვს ასევე „შიდა“ ასპექტი. ყოველი მოსამართლე, სასამართლო სისტემაში მისი ფუნქციის მიუხედავად, ახორციელებს მართლმსაჯულების იგივე უფლებამოსილებას. ამიტომ სასამართლო განხილვის დროს, იგი უნდა იყოს დამოუკიდებელი სხვა მოსამართლეებისაგან და მისი სასამართლოს თავმჯდომარისაგან ან სხვა (სააპელაციო თუ ზემდგომი) სასამართლოებისაგან.“²⁸

დღესდღეობით სასამართლო სისტემა შიდა დამოუკიდებლობის კუთხით მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას. საანგარიშო პერიოდის მეორე ნახევარში გამოიკვეთა, რომ სასამართლო კორპუსში არსებობს მოსამართლეთა ჯგუფი, რომელსაც აქვს ბერკეტი

²⁷ 2011-2015 წლებში საბჭოს მიერ დისციპლინურ პასუხისგებაში მიეცა 7 მოსამართლე, <http://bit.ly/2bx4dd4>

²⁸ ანგარიში სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის შესახებ (ნაწილი I), 71-ე პუნქტი, ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის (DHR) ადამიანის უფლებათა დირექტორატის(DGI) ერთობლივი დასკვნა N774/2014, სტრასბურგი, 2014, <http://bit.ly/2b7cVzP>

ზეგავლენა მოახდინოს სასამართლო სისტემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე, მათ შორის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებზე.

აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით გამოიკვეთა მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის პროცესში. 2015 წლის 25 დეკემბერს, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მხარი დაუჭირა ლევან მურუსიძის სააპელაციო სასამართლოში არჩევას. საბჭოს არამოსამართლე წევრების განმარტებით,²⁹ მთავარი არგუმენტი მურუსიძის სასარგებლოდ, მოსამართლეთა კორპუსის მხარდაჭერა იყო. ამ საკითხზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების მიერ გაკეთებულმა განცხადებამ, ფაქტობრივად, დაადასტურა ის ეჭვები, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეთა დანიშვნისას არ ხელმძღვანელობდა კანონით განსაზღვრული კრიტერიუმებით, არამედ გადაწყვეტილება მიიღებოდა საბჭოს წევრებს შორის გარკვეული ფარული გარიგებების საფუძველზე. შესაბამისად, **იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ანუ ინსტიტუტი, რომელიც უნდა წარმოადგენდეს სასამართლოს შიდა და გარე დამოუკიდებლობის გარანტს, თავად ვერ ინარჩუნებს დამოუკიდებლობას მოსამართლეთა კორპუსის დომინანტური ჯგუფისგან.**

არსებული მდგომარეობა კიდევ უფრო გაამძაფრა იმ ფაქტმა, რომ მოსამართლეთა ამგვარი წესით დანიშვნების ფონზე საქართველოს პარლამენტმა ყოველვარი მიზეზის გარეშე გააჭიანურა და არ მიიღო სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღის“ ცვლილებები, რაც გარკვეულ გაუმჯობესებს შეიცავს მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურაში. **მსგავსი დაყოვნებაც ამყარებს ეჭვებს იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლება გარკვეულ დათმობებზე წავიდა სასამართლო კორპუსის წინააღმდეგობის ფონზე.** აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 19 ოქტომბერს, მას შემდეგ, რაც იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული მესამე ტალღის კანონპროექტები უკვე ინიცირებული იყო საქართველოს პარლამენტში საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი შეხვდა 160 მოსამართლეს მათ შორის, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს - მოსამართლე ლევან მურუსიძეს. შეხვედრაზე არ მოიწვიეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე. შეხვედრის შემდეგ იუსტიციის მინისტრმა ჩამოთვალა ის საკითხები, რომლებიც მესამე ტალღის კანონპროექტებში არის გათვალისწინებული, მაგრამ მოსამართლეთა შიგნით შეხვედრის შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ აღნიშნული საკითხები სხვაგვარად მოწესრიგდებოდა. გარდა ამისა, მთელი რიგი საკითხები, რომლებიც, იუსტიციის მინისტრის თქმით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ინიციატივით იყო გათვალისწინებული მესამე ტალღის კანონპროექტებში, გადაიხედებოდა, რადგან მოსამართლეთა კორპუსი არ

²⁹ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების განცხადება, დეკემბერი 25, 2015, <http://bit.ly/2bUCGn4> (წვდომის თარიღი 9 სექტემბერი, 2016)

ეთანხმებოდა აღნიშნულ ცვლილებებს. შედეგად, საქართველოს პარლამენტში მესამე ტალღის კანონპროექტების განხილვა შეჩერდა.³⁰

პრობლემურია ისიც, რომ მოსამართლეთა ერთი ჯგუფი და იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არიან შემწყნარებელი მოსამართლეთა კორპუსის სხვა წარმომადგენლების მხრიდან გამოთქმული კრიტიკის მიმართ. ამას ადასტურებს თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მამუკა ახვლედიანის კრიტიკული განცხადებებიდან 2 თვეში იუსტიციის საბჭოს მიერ მისი თანამდებობიდან გათავისუფლება³¹ მამუკა ახვლედიანის განცხადებიდან განვითარებული მოვლენების ქრონოლოგია ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ინდივიდუალური მოსამართლის მიერ გამოთქმული კრიტიკა სისტემის მიმართ, მოსამართლეთა დიდი ნაწილისთვის მიუღებელია და აღიქმება როგორც თავდასხმა სასამართლოზე. მსგავსი ვითარება, სერიოზულ ეჭვებს აჩენს მოსამართლეთა კორპუსში კლანური მმართველობის შესახებ, რაც ძირს უთხრის ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობას.³²

დღეის მდგომარეობით არსებული ვითარება, როდესაც არ არსებობს მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის, კარიერული წინსვლისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კანონით გათვალისწინებული ობიექტური კრიტერიუმები, ხოლო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არ ეკისრება მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულება, მოსამართლეთა გარკვეულ ჯგუფსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აძლევს იმის ბერკეტებს, რომ გაუმჭვირვალე და დაუსაბუთებელი წესით მიიღონ გადაწყვეტილებები.

სასამართლოს შიდა დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, იმისათვის რომ გამოირიცხოს მოსამართლეთა კორპუსის გარკვეული ჯგუფის ხელში გაუმართლებლად ფართო ძალაუფლების თავმოყრა, აუცილებელია იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის კანონით განისაზღვროს კონკრეტული კრიტერიუმები და პრინციპები, რომლის საფუძველზეც უნდა იღებდეს ის გადაწყვეტილებებს, ასევე თითოეული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით და მათი გასაჩივრების რეალური შესაძლებლობა.

5.2. საქმეთა განხილვისას გამოვლენილი ტენდენციები


³⁰ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში N4, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 2016, გვ. 68-69, <http://bit.ly/2bx4dd4>

³¹ მოვლენების ქრონოლოგია მამუკა ახვლედიანის პირველი განცხადებიდან მის გათავისუფლებამდე, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 2016, <http://bit.ly/2b7iK05>

³² კოალიცია იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დისციპლინური საჩივრით მიმართავს, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, 2016, <http://bit.ly/2bzenFU>

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ აქტიურად აკვირდება სასამართლოებში საქმეთა განხილვისას გამოვლენილ ძირითად ტენდენციებს. ჩვენი ორგანიზაცია 2011-2014 წლებში აწარმოებდა ადმინისტრაციული საქმეების, ხოლო 2013 წლის აწარმოებს გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგს, ასევე ყურადღებით ვაკვირდებით სხვა მაღალი საჯარო ინტერესის საქმეებსაც.

დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა სახელმწიფოს სასარგებლოდ მიღებულ გადაწყვეტილებათა მაჩვენებელი, რაც ხელისუფლების ორგანოებისაგან ზეწოლის ფაქტების შემცირებასა და სასამართლოს დამოუკიდებლობის ზრდაზე შეიძლება მიუთითებს. მიუხედავად ამისა, რჩება კითხვის ნიშნები გახმაურებული საქმეების განხილვისას სასამართლოს მიუკერძოებლობას, დამოუკიდებლობასა და შესაძლო კორუფციის რისკებთან დაკავშირებით.



გრაფი #1: ადმინისტრაციული საქმეების ოთხ ეტაპად ჩატარებული მონიტორინგმა გამოავლინა რომ პირველი მონიტორინგის პერიოდში, სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაწყდა დავათა – 85%-ს (108 საქმიდან 92 საქმე), ხოლო მეოთხე მონიტორინგის პერიოდში – 53% (268 საქმიდან 141 საქმე).³³

5.2.1. გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეები

2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდგომ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა ყოფილი თანამდებობის პირების მიმართ, რამაც, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ გარკვეული ეჭვები გააჩინა პროცესის პოლიტიზირების შესახებ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ 2013 წლის თებერვლიდან გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგს ახორციელებს. ამ პერიოდში გამოქვეყნდა სამი ანგარიში.

³³ სამწლიანი მონიტორინგის შედეგების მიმოხილვა ადმინისტრაციულ საქმეებზე, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 2014, გვ. 5, <http://bit.ly/2bx5sEi>

ორგანიზაციის დამკვირვებლები ესწრებოდნენ სასამართლო სხდომებს და აღწერდნენ პროცესს შემდგომი შეფასების მიზნით.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ დღემდე აკვირდება პირველ ინსტანციაში მიმდინარე საქმეების განხილვას. ამჟამად მონიტორინგი ხორციელდება 11 სისხლისსამართლებრივ საქმეზე ხოლო დასრულებულია 22 საქმე.

დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი ტენდენციები და ფაქტები:

- ხდებოდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების წესით ბოროტად სარგებლობა. წინასწარი პატიმრობის ბოროტად გამოყენების პრობლემა ნათლად გამოიკვეთა გიგი უგულავას საქმეში. იგი წინასწარ პატიმრობაში წელიწადზე მეტი ისე იმყოფებოდა, მის წინააღმდეგ გამამტყუნებელი განაჩენი არ ყოფილა დამდგარი. გიგი უგულავას მიმართ განხორციელებული ქმედებათა ქრონოლოგია და აღკვეთი ღონისძიების გამოყენების თაობაზე საკანონმდებლო ხარვეზის ბოროტად გამოყენება პროცესის პოლიტიკური მოტივებით წარმართვაზე მიანიშნებდა. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ პროკურატურის მთავარ მიზანს იმ მომენტისთვის ბრალდებულის პატიმრობაში დატოვება წარმოადგენდა.
- როგორც ბრალდების ასე დაცვის მხარის მიერ რიგ საქმეებში ხდებოდა პროცესის ხელოვნური გაჭიანურება. პროცესის გაჭიანურების მცდელობა განსაკუთრებით დაუშვებელია პროკურატურის წარმომადგენელთა მხრიდან, ამით ბრალდებულის სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების უფლების ცალსახა ხელყოფა ხდება. ყალბი მიზეზებით სხდომების ხელოვნურად გადადება პირდაპირ პროკურატურის, როგორც ინსტიტუტის, იმიჯს ლახავს და მისი საქმიანობის პოლიტიკურ მოტივებზე მიუთითებს.
- საქმეთა განაწილების წესის მიმართ მრავალი კითხვის ნიშანი ჩნდებოდა. დღემდე მოქმედი წესი რეალურად იძლევა შესაძლებლობას წინასწარ განისაზღვროს თუ რომელი მოსამართლე რომელ საქმეს განიხილავს.
- მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა მოწმეთა განცალკევების საკითხი. როგორც წესი, საქმის განხილვისას ვერ ხერხდებოდა მოწმეთა ერთმანეთთან კომუნიკაციის სათანადოდ თავიდან აცილება. საქმეზე დაბარებული მოწმეები სხდომის დაწყებას დერეფანში ერთად ელოდებოდნენ და საუბრის შესაძლებლობა ჰქონდათ.
- რამდენჯერმე დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ყველა დაინტერესებულ პირს არ მიეცა შესაძლებლობა დასწრებოდა სხდომას. მიზეზი ზოგიერთ შემთხვევაში სხდომის დარბაზის სივიწროვე, ზოგ შემთხვევაში კი დამსწრეთა დიდი რაოდენობა იყო.

- პრობლემას წარმოადგენდა სასამართლოზე პირველი წარდგენის სხდომის საჯაროობა, რადგან სასამართლოს ოფიციალურ განრიგში ინფორმაცია სხდომის თაობაზე ყოველთვის არ ქვეყნდებოდა. მონიტორინგის ჯგუფი მედია საშუალებებით ცდილობდა ინფორმაციის მოძიებას სხდომის შესახებ.³⁴

5.2.2. „რუსთავი 2“-ის საქმე

მიუხედავად იმისა, რომ „რუსთავი 2“-თან დაკავშირებულ დავას, ერთი შეხედვით, აქვს კერძო სამართლებრივი ხასიათი, საქმეს გააჩნია პოლიტიკური კონტექსტი, რომელიც მედიასაშუალების საქმიანობის შეზღუდვისა და კონტროლის მაღალ რისკებს შეიცავს. არსებულ რეალობაში „რუსთავი 2“ ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ საზოგადოების ინფორმირებისა და კრიტიკული აზრის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. შესაბამისად, მის საქმიანობაში ნებისმიერი ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან ტელეკომპანიაზე გავლენის მოხდენის ეჭვებს წარმოშობს.

2015 წლის 4 აგვისტოს „რუსთავი 2“-ის წილების ყოფილმა მფლობელმა ქიზარ ხალვაშმა საკუთრების უფლების აღდგენის მოთხოვნით სასამართლოს სარჩელით მიმართა. რამდენიმე დღეში სასამართლომ „რუსთავი 2“-ის ქონება დააყადაღა და ხელმძღვანელ პირებს უფლებამოსილება შეუზღუდა. სასამართლოს აღნიშნულ განჩინებასთან დაკავშირებით მიგვაჩნდა, რომ იგი ვერ აკმაყოფილებდა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს და უფლების არაპროპორციულ შეზღუდვას განაპირობებდა.³⁵

თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის მიმდინარეობისას „რუსთავი 2“-ის მხარემ არაერთხელ დააყენა მოსამართლე თამაზ ურთმელიძის აცილების თაობაზე შუამდგომლობა. მოსამართლის აცილების მთავარი საფუძველი იყო ის სისხლის სამართლის საქმე, რომელიც მოსამართლე თამაზ ურთმელიძის დედის წინააღმდეგ მიმდინარეობდა ოჯახურ ინციდენტთან დაკავშირებით, რომელსაც მხარის მტკიცებით პროკურატურა და ხელისუფლება იყენებდა მოსამართლეზე ზეწოლის განსახორციელებლად.

საბოლოოდ თბილისის საქალაქო სასამართლომ „რუსთავი 2“-ის საკუთრებასთან დაკავშირებული დავა ტელეკომპანიის ყოფილი მფლობელის ქიზარ ხალვაშის სასარგებლოდ

³⁴ სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის მესამე ანგარიში, 9 ოქტომბერი 2015 <http://bit.ly/2bJTffU>

³⁵ არასამთავრობო ორგანიზაციები „რუსთავი 2“-ის ქონების დაყადაღებას ეხმაურებიან, საერთაშორისო გამჭვირვალობა -საქართველო, 2015, <http://bit.ly/2c31tnt>

გადაწყვიტა. ამასთან, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება „რუსთავი 2“-ის დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ, რის შედეგადაც ტელეკომპანიის მოქმედი გენერალური დირექტორი და ფინანსური სამსახურის უფროსი დროებით მმართველებს უნდა შეეცვალათ. ჩვენი შეფასებით, სასამართლოს ეს განჩინება ეწინააღმდეგებოდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობას. განჩინებაში არ იყო დასაბუთებული აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა. ამასთან, მოსამართლის მიერ განჩინების დასაბუთების დროს მოყვანილი გარემოებები შეიძლება ჩაითვალოს დამოუკიდებელი ტელეკომპანიის სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევად.³⁶ კერძოდ, სასამართლო მიუთითებდა, რომ „საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე ინფორმაციის გაშუქებისას გამოყენებულ უნდა იქნეს ობიექტური და სამართლიანი რეპორტაჟის მეთოდი. მოპასუხის (შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის პარტნიორები) მმართველობის პირობებში ეს საკითხიც დგას კითხვის ნიშნის ქვეშ. მითითებული მიზნების უგულვებელყოფა კი, საბოლოო ჯამში, საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ საზოგადოებაში მედიის ძირითადი დანიშნულებას.“ მიგვაჩნია, რომ მოცემული მსჯელობა წარმოადგენდა სარედაქციო პოლიტიკის ფორმირებაში ჩარევას და არანაირი კავშირში არ ჰქონდა „რუსთავი 2“-ის წილების შესახებ მიმდინარე სასამართლო დავასთან.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლე ურთმელიძის მიერ მიღებული განჩინებით ფაქტობრივად აღარ აღსრულდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2015 წლის 2 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილება. საოქმო ჩანაწერით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შეჩერდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ ნორმის მოქმედება, რომელიც განსაზღვრავს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებელი აღსრულების ერთ-ერთ საფუძველს. მართალია განჩინების საფუძველად მოსამართლემ სხვა ნორმა მიუთითა და არა ის, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ შეაჩერა, თუმცა არსებითად იგივე შედეგი დადგა, რისი თავიდან ასაცილებლადაც იქნა მიღებული საკონსტიტუციოს სასამართლოს გადაწყვეტილება.

ახალი კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ ნორმების მოქმედებაც შეაჩერა, რომლის საფუძველზეც მოსამართლემ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში დროებითი მმართველების დანიშვნის გადაწყვეტილება მიიღო. რის შედეგადაც დროებითი მართველის დანიშვნის შესახებ განჩინება არ აღსრულდა.

ხმაურიანი განხილვებით მიმდინარეობდა რუსთავი 2-ის საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოშიც, რომელმაც საბოლოოდ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის

³⁶ განცხადება 5 ნოემბერს „რუსთავი 2“-ის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების შესახებ, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 2015, <http://bit.ly/2bKhSt4>

გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ საკუთარი ინიციატივით, დაჩქარებული წესით ტელეკომპანიის საქმის გადაწყვეტილება ფოსტით გაუგზავნა მხარეებს, რაც ჩვენი შეფასებით, აღნიშნული პროცესში პოლიტიკური ინტერესისა და გავლენის არსებობაზე მიუთითებს. კერძოდ, საუბარია სასამართლოს მიერ პროცესის მიზანმიმართულად დაჩქარებაზე, რომლის შედეგს, „რუსთავის 2“-ისათვის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების უზენაეს სასამართლოში გასაჩივრების საერთო ვადის შემცირება წარმოადგენდა.³⁷

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამჟამად საქართველოს უზენაეს სასამართლოში განიხილება. იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო, კანონმდებლობის სრული დაცვით განიხილავს საქმეს და გამოირიცხება ის კითხვის ნიშნები, რომლებიც მოცემული საქმის განხილვისას პოლიტიკურ ინტერესთან დაკავშირებით არსებობს.

5.3. კორუფციის რისკები სასამართლო სისტემაში

ბოლო პერიოდში გახშირდა საუბრები მოსამართლეთა კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობის შესახებ. აღნიშნული საკითხები აქტიურად იხილება ბიზნესს გაერთიანებებში, რაც უკიდურესად დიდი შემფოთების საგანს წარმოადგენს. მიუხედავად კონკრეტული კორუფციული გარიგების ფაქტის არარსებობისა, აღსანიშნავია რამდენიმე საყურადღებო გარემოება.

2015 წლის აპრილში შვეიცარიის ელჩმა საქართველოში გაზეთ FINANCIAL-ისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული საქმეთა განხილვისას მოსამართლეების მიერ ქრთამის აღების შესაძლო შემთხვევების შესახებ და ხელისუფლებას ამ საკითხით დაინტერესება სთხოვა.³⁸ აღნიშნული განცხადების შემდეგ შვეიცარიის ელჩს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე შეხვდა და აღნიშნული საკითხის შესწავლას დაპირდა.³⁹

³⁷ განცხადება „რუსთავი 2“-ის საქმესთან დაკავშირებით, საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველო, 2016, <http://bit.ly/2bFtj82>

³⁸ შვეიცარიის ელჩი მთავრობას: შეაჩერეთ უსამართლო გადასახადები და მექრთამეობა, ტაბულა, 8 აპრილი, 2015, <http://bit.ly/2cII2VJ> (წვდომის თარიღი 9 სექტემბერი, 2016)

³⁹ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე შვეიცარიის ელჩს შეხვდა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 22 აპრილი, 2015, <http://bit.ly/2cixCH4>

ყურადღებას იმსახურებს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დაუფლებისთვის მიმდინარე დავებიც, რაც დროსაც 4553 ლარსა და 48 თეთრის ღირებულების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დაუსაბუთებლად მოხდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ათეულობით მილიონის ღირებულების ქონებაზე ყადაღის დადება და ამით საწარმოს საქმიანობის მნიშვნელოვნად შეფერხება. მოცემულ საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილებამ არსებული მენეჯმენტისთვის საწარმოს მართვის შეფერხების მცდელობის საფუძვლიან ეჭვები გააჩინა. ასევე გამოიკვეთა გარკვეული ერთმანეთან დაკავშირებული ჯგუფების (როგორც სასამართლო სისტემაში, ასევე მის გარეთაც) შეთანხმებული ქმედებები, რაც შესაძლოა სასამართლო სისტემის შიგნით, მის გარკვეულ ნაწილში, არსებულ არაჯანსაღ მდგომარეობაზეც მიუთითებდეს.⁴⁰

5.4. სამართალდამცავი ორგანოების მიერ სასამართლოს საქმიანობაში ჩარევის შესაძლო შემთხვევები

უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, რომელიც სამართალდამცავი ორგანოების მიერ სასამართლოს საქმიანობაში ჩარევის მცდელობას უკავშირდება.

2013 წლის 18 თებერვალს ფოთის საქალაქო პროკურატურამ დაკითხვაზე დაიბარა ფოთის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პროკურატურა დაინტერესდა ფოთის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის რევაზ ნადარაიას მიერ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით. საქმე ეხებოდა 2009 წლის ოქტომბერში ამნისტირებული პირის უკანონო მსჯავრდების ფაქტს. მიუხედავად იმისა, რომ ამნისტიის მიხედვით, ჩადენილი დანაშაულისთვის ბრალდებული პასუხისმგებლობისგან უნდა გათავისუფლებულიყო, მოსამართლემ ის მაინც გაასამართლა. მოგვიანებით საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ შეცვალა და პირი გათავისუფლებულ იქნა პატიმრობიდან. აღნიშნულ საკითხზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ სპეციალური განცხადებაც⁴¹ გაავრცელა. პროკურატურის ქმედება მოცემულ შემთხვევაში იყო გაუმართლებელი, იგი პირდაპირ ლახავდა კონსტიტუციის 84-ე მუხლს, რომელიც მოსამართლის დამოუკიდებლობაზე და მის საქმიანობაში ჩაურევლობაზე საუბრობს.

⁴⁰ რა ხდება რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში-მიმოხილვა, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 2015, <http://bit.ly/2bdRKs3>

⁴¹ ჩვენი განმარტებები ფოთის მოსამართლის პროკურატურაში დაბარებასთან დაკავშირებით, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 2013, <http://bit.ly/2b94a7i>

ამავე კონტექსტში, აღსანიშნავია, **ახალციხის რაიონულ სასამართლოსთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენებიც.** როგორც ცნობილია, აღნიშნულ სასამართლოში მიმდინარეობდა საქმის განხილვა შსს-ს ბორჯომის რაიონული სამმართველოს ყოფილი უფროსისა და სხვა პირების მიმართ, რომელიც 2013 წლის 3 ივლისს ბრალდებულების მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანით დასრულდა. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც საუბარი იყო ზემოაღნიშნული პირების მიმართ წაყენებული ბრალდების სიმძიმესა და შინაარსზე. პროკურატურის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, განაჩენის გამოტანამდე რამდენიმე თვით ადრე, მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილი მისი ინიციატივით არაოფიციალურ გარემოში შეხვდა სამცხე-ჯავახეთის პროკურორ გივი პაპუაშვილს და ბრალდებულებთან საპროცესო შეთანხმების დადება ურჩია. მოგვიანებით უზენაესმა სასამართლომ უარყო აღნიშნული ფაქტი და პროკურატურა ცრუ ინფორმაციის შეგნებულად გავრცელებაში დაადანაშაულა.⁴²

2012 წლის 19 დეკემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ საგანგებო განცხადება გააკეთა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან სასამართლოს მოხელეებთან სავარაუდოდ უკანონო კომუნიკაციისა და ზემოქმედების კიდევ ერთი შემთხვევაზე. განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთი **მოსამართლის თანაშემწეზე სპეციალური სამსახურების მიერ განხორციელებულ ზეწოლას** უკავშირდებოდა. გავრცელებული ინფორმაციით, სპეციალური სამსახურების წარმომადგენლები ცდილობდნენ თანაშემწისგან მიეღოთ გარკვეული ინფორმაცია სასამართლოს შიდა ადმინისტრაციულ საკითხებზე და საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეზე. აღნიშნულ ფაქტზე გამოძიების დაწყების შესახებ განცხადება მთავარმა პროკურორმა გაავრცელა.

6. საკონსტიტუციო სასამართლო

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ საკონსტიტუციო სასამართლო, წინა წლებთან შედარებით, უფრო მეტად გახდა საჯარო დისკუსიების საგანი. ეს, მათ შორის იმანაც განაპირობა, რომ მოქმედი ხელისუფლება დაუფარავად გამოთქვამდა თავის უკმაყოფილებას სასამართლოს კონკრეტული გადაწყვეტილების მიმართ.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პირველ თვეებში ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები (ბიძინა ივანიშვილი, თეა წულუკიანი) საკონსტიტუციო სასამართლოს

⁴² განცხადება ახალციხის რაიონული სასამართლოს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, 2013 <http://bit.ly/2baiRSZ>

მიმართ პოზიტიური განცხადებებით გამოირჩეოდნენ, ისინი პოზიტიურად აფასებდნენ სასამართლოს მუშაობას წინა ხელისუფლების დროსაც.

მოქმედ ხელისუფლებასა და საკონსტიტუციო სასამართლოს შორის ურთიერთობა პირველად მას შემდეგ დაიძაბა, რაც სასამართლომ **საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრების სარჩელი** დააკმაყოფილა. ხელისუფლების წარმომადგენლები წინა ხელისუფლებასთან კონკრეტული მოსამართლეების კავშირებზე მიუთითებდნენ და ეჭვქვეშ აყენებდნენ მათ მიკერძოებულობას. აღნიშნულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის საკითხი. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი სრულად ემთხვეოდა არასამთავრობო ორგანიზაციათა ნაწილის მიერ საკანონმდებლო ცვლილების განხილვის სხვადასხვა ეტაპზე გამოხატულ პოზიციას. ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ გაკეთებული განცხადებების გარდა, სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილო პირების მხრიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინ საპროტესტო აქცია გაიმართა, სადაც ადგილი ჰქონდა სასამართლოს შეურაცხმყოფელ გამონათქვამებსა და ქმედებებს. აქციის მონაწილეებმა ასევე დააზიანეს სასამართლოს ქონება. აღნიშნულ ფაქტს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან რაიმე სახის რეაგირება არ მოყოლია.

ხელისუფლების ასევე განსაკუთრებით კრიტიკული რეაქცია მოყვა **თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას სარჩელის დაკმაყოფილებას**, რომლის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლომ იგი ერთი დღით გაათავისუფლა. გადაწყვეტილების გამოცხადების შემდგომ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი პაპუაშვილმა გააკეთა განცხადება, რომ ცალკეულ მოსამართლეებსა და მათი ოჯახის წევრებზე ზეწოლა გახშირდა, რაც ფიზიკური ანგარიშსწორების შესახებ მოსამართლეების სახლებთან შეკრებილ მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფის განცხადებებში გამოიხატება. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებზე ზეწოლის მიზეზად მან გიორგი უგულავას კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება დაასახელა, რომელიც 9 თვეზე მეტი ვადით წინასწარი პატიმრობის გამოყენებას შეეხებოდა. გამართულ აქციებში სხვა პირებთან ერთად ასევე მონაწილეობდნენ სახელმწიფოს კუთვნილი შპს-ს თანამშრომლები. აქციის მონაწილეები მოსამართლის საცხოვრებელ სახლს სხვადასხვა საგნებს ესროდნენ. აღნიშნულ საკითხზე განცხადებები გააკეთეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა⁴³ და ვენეციის კომისიის პრეზიდენტმა, თუმცა, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან აღნიშნულ ფაქტზე რაიმე სახის რეაგირება ასევე არ მომხდარა. ამასთან, პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილის და სხვა პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან აღნიშნული

⁴³ კოალიციის განცხადება სასამართლო ხელისუფლების ირგვლივ უკანასკნელ დღეებში განვითარებული მოვლენების თაობაზე, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, 2015, <http://bit.ly/2ceN7za>

ქმედებები გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროდ ფასდებოდა. იუსტიციის მინისტრი კი საკონსტიტუციო სასამართლოს გიორგი უგულავას საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას პროცედურულ დარღვევებში ადანაშაულებდა. ⁴⁴გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კანონმდებლობით საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის საცხოვრებელ სახლთან შეკრება, მანიფესტაციის გამართვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, ხოლო საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების გამო, მოსამართლეების მიმართ მუქარა სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს, თუმცა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ამ ფაქტებზე არანაირი გამოხმაურება არ ყოფილა.

ხელისუფლებასა და საკონსტიტუციო სასამართლოს შორის კიდევ უფრო დაიძაბა ურთიერთობა მას შემდეგ რაც საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლომ შეაჩერა იმ ნორმების მოქმედება, რომლითაც **ეროვნულ ბანკს** ჩამოერთვა საბანკო ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილება. აღსანიშნავია, რომ პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს საქართველოს პრეზიდენტმა ვეტო დაადო, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციებმა საკონსტიტუციო სასამართლოს სასამართლოს მეგობრის წერილით მიმართეს და სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას მხარი დაუჭირეს. სასამართლომ შემდგომში „**რუსთავი 2**“-ის **სარჩელის** საფუძველზე ასევე შეაჩერა დაუყოვნებლივი აღსრულების ნორმა, რის შედეგადაც პირველი ინსტანციის ის გადაწყვეტილება, რომლითაც ტელეკომპანიის მფლობელები შეიცვალენ დაუყოვნებლივ ვერ აღსრულდა.

ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან უკიდურესად მწვავე განცხადებები მოყვა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ „**რუსთავი 2**“-ის საქმეზე სადავო ნორმის შეჩერებას. კოალიციის „**დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის**“ შეფასებით, აღნიშნული განცხადებები გაჯერებული იყო ზედაპირული პოლიტიკური შეფასებებით, რასაც საერთო არ ჰქონდა სასამართლო აქტების დასაბუთებულ სამართლებრივ კრიტიკასთან.⁴⁵ კოალიციის შეფასებით, ცალკეულ შემთხვევებში ასევე შესაძლოა, რომ მსგავსი განცხადებები სასამართლო ხელისუფლებაზე ზეწოლის მცდელობას წარმოადგენდეს, რაც განსაკუთრებით სახიფათოა სასამართლოში მიმდინარე და განხილვის მოლოდინში მყოფ საქმეებთან მიმართებით.

⁴⁴ *წულუკიანი: საკონსტიტუციო სასამართლოში პროცედურული დარღვევების კასკადია უგულავას საქმეზე*, ნეტგაზეთი, <http://bit.ly/2c6mY2w>, (წვდომის თარიღი 9 სექტემბერი, 2016)

⁴⁵ *კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ მოუწოდებს პოლიტიკოსებს სიფრთხილით მოეკიდონ საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე საქმეების შეფასებას*, 2015, <http://bit.ly/2bEeuUN>

ამ ფონზე, იუსტიციის მინისტრმა დააანონსა კონკრეტული საკითხები, რომლებშიც სამინისტრო გეგმავდა ნაბიჯების გადადგმას საკონსტიტუციო სასამართლოს რეფორმირების მიმართულებით. კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ შეფასებით, არსებულ კონტექსტში მინისტრის განცხადება ქმნიდა განცდას, რომ ეს იყო საკონსტიტუციო სასამართლოს კონკრეტული გადაწყვეტილების შინაარსით გამოწვეული უკმაყოფილებით განპირობებული ქმედება და ერთგვარი რეაქცია მმართველი პოლიტიკური ძალის მხრიდან.

2016 წლის თებერვალში საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ იუსტიციის მინისტრმა მას ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სანაცვლოდ გარიგება შესთავაზა. კერძოდ, თუ ის მჭიდროდ ითანამშრომლებდა ხელისუფლებასთან მას და საკონსტიტუციო სასამართლოს კიდევ ერთ მოსამართლეს გაუგრძელებოდა ვენეციის კომისიაში წევრობა და ასევე მოგვარდებოდა მის საცხოვრებელ ბინასთან დაკავშირებული პრობლემა.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას განცხადა, რომ საქართველოს პარლამენტი დაიწყებდა საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვას. ეკა ბესელიას მიერ გაჟღერებული ინიციატივების ნაწილი ემთხვევოდა იუსტიციის მინისტრის მიერ წინათ გამოთქმულ საკითხებს.

მიუხედავად სამოქალაქო საზოგადოების პროტესტის და ვენეციის კომისიის კრიტიკული დასკვნისა, შემდგომში ეს ცვლილებები საქართველოს პარლამენტმა მაინც განახორციელა. ცვლილებები მნიშვნელოვნად აზიანებდა ქვეყანაში კონსტიტუციური კონტროლის ინტერესებს. კერძოდ, ცვლილებებმა საფრთხე შეუქმნა, პლენუმის (სასამართლოს სრული შემადგენლობის) მიერ გადაწყვეტილების დროულად მიღებას, 4 მოსამართლისგან შემდგარი კოლეგიის უფლებამოსილებების ჯეროვან განხორციელებას, კონკრეტულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებას, სამართალწარმოებაში მონაწილე მხარეთა უფლებებს და ინტერესებს. აღნიშნული საკითხების უმრავლესობმა ასევე კრიტიკული შეფასება დაიმსახურა ვენეციის კომისიის დასკვნაში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ცვლილებებს პრეზიდენტმა ვეტო დაადო, პრეზიდენტის შენიშვნებში სრულყოფილად არ იქნა გაზიარებული ვენეციის კომისიის და არასამათავრობო სექტორის შენიშვნები.

2016 წლის 21 ივლისს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობს მიზანმიმართული ზეწოლა მოსამართლეებზე, რაც გამოიხატება მათზე თვალთვალში, მათ კომერციულ საქმეებზე ზეწოლაში, დამანტაჟებაში რომ მათი ახლო ნათესავები დაკავებული იქნებიან სხვადასხვა საბაზით, აგრეთვე პირადი ხასიათის ინფორმაციის გასაჯაროების მუქარაში. სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებით, ყველა ეს საქმე დაკავშირებულია მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე

საქმეებთან, რომელიც განიხილება სასამართლოში და მიმართულია იმისაკენ, რომ მათ გადაწყვეტილება მიიღონ ან ხელისუფლების სასარგებლოდ ან მაქსიმალურად გააჭიანურონ გადაწყვეტილების მიღების პროცესი. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე მოსამართლემ იმავე დღეს უარყო ნებისმიერი ზეწოლის ფაქტი და განაცხადეს, რომ მათ ამის შესახებ ინფორმაცია არც სხვა მოსამართლესთან დაკავშირებით ქონდათ. თავმჯდომარის განცხადების საფუძველზე პროკურატურამ დაიწყო გამოძიება და გამოკითხა მოსამართლეები. პროკურატურის შუალედური დასკვნის თანახმად, ყველა მოსამართლემ უარყო უშუალოდ მასზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტის არსებობა. თუმცა, 4 მოსამართლე საჯაროდ მიუთითებდა, რომ მათ ქონდათ კონკრეტული ინფორმაცია ერთ-ერთ მოსამართლეზე განხორციელებულ ზეწოლასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, რომ პროკურატურის საბოლოო დასკვნაში ამ საკითხზეც იყოს პასუხი გაცემული.

ამასთან ხუთმა მოსამართლემ გაავრცელა განცხადება, სადაც ისინი გიორგი პაპუაშვილს კონკრეტული საქმეების განხილვის დაჩქარებაში სდებდნენ ბრალს. მოსამართლეების განცხადებით, დაუშვებელია საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მხრიდან სასამართლოს დღის წესრიგის ერთპიროვნულად, სასამართლოს სხვა წევრების აზრის გათვალისწინების გარეშე, იმგვარად განსაზღვრა, რომ მოხდეს გარკვეული საქმეების გადაწყვეტის ფორსირება, განსაკუთრებით იმ საქმეზე, რომლებიც არის პოლიტიკური კონტექსტის შემცველი. განცხადების შინაარს კატეგორიულად არ დაეთანხმა დანარჩენი სამი მოსამართლე. მოსამართლეებს შორის საჯაროდ ამგვარი დაპირისპირება, ცხადია, აზიანებს სასამართლოს იმიჯს და ავტორიტეტს, სწორედ აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეებმა შეძლონ ერთმანეთთან თანამშრომლობის რეჟიმში მათი უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური ფუნქციების შესრულება.